№189 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის „საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი II“ ფინანსური ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელით დადოს ფინანსური ხელშეკრულება საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის „საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი II“ - პროექტის დაფინანსების მიზნით, 49,45 მილიონი (ორმოცდაცხრა მილიონ ოთხას ორმოცდაათი ათასი) ევროს ოდენობის გამოყოფის შესახებ შემდეგი ფინანსური პირობებით:

სესხის ოდენობა:	49 450 000 ევრო;
სესხის ხანგრძლივობა:	30 წელი;
მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი:	5 წელი;

სესხის საპროცენტო განაკვეთი (თითოეული ტრანშისთვის განისაზღვრება ტრანშის ჩამორიცხვამდე):	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ან EURIBOR-ზე ან LIBOR-ზე დაფუძნებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთი;
საპროცენტო მარჟა (EURIBOR-ზე ან LIBOR-ზე დაფუძნებული, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში):	ცვლადი, რომელიც ფიქსირდება თითოეული ტრანშის მიღებისას (EURIBOR-ზე ან LIBOR-ზე დაფუძნებული, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში);
ადმინისტრირების გადასახდელი:	50 000 ევრო (ერთჯერადი გადასახდელი).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**